



## ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები – საცალო და საბითუმო ვაჭრობა

### ძირითადი რეკომენდაციები დასაქმებულთა მიმართ:

- დააწესონ მკაცრი კონტროლი ნაკადების მართვაზე და შეიმუშაონ შესაბამისი სქემა მომხმარებელთა ნაკადის სავაჭრო სივრცეში ეტაპობრივ დაშვებაზე, კერძოდ:
  - სავაჭრო ობიექტებმა, სადაც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების რეალიზაცია, ელექტროკომუნიკაციის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, წყლის, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდება, სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია, ასევე პრესის ჯიხურები და აგრარული ბაზრები, რომელთა სავაჭრო ფართობი არის 10მ<sup>2</sup> და ნაკლები, უზრუნველყონ სავაჭრო სივრცეში მხოლოდ 1 მომხმარებლის დაშვება, ხოლო 10მ<sup>2</sup>-ის ზევით, ყოველ 10მ<sup>2</sup> სავაჭრო ფართზე – 1 მომხმარებლის დაშვება.
  - ყველა სხვა ტიპის სავაჭრო ობიექტებმა, რომლის სავაჭრო ფართობი არის 20მ<sup>2</sup> და ნაკლები, უზრუნველყონ სავაჭრო სივრცეში მხოლოდ 1 მომხმარებლის დაშვება, ხოლო 20მ<sup>2</sup>-ის ზევით, ყოველ 20მ<sup>2</sup> სავაჭრო ფართზე – 1 მომხმარებლის დაშვება.
- სავაჭრო ობიექტზე მომხმარებელთა ნაკადის მართვის მიზნით სავაჭრო ობიექტის ადმინისტრაციის მიერ განხორციელდეს:
  - რიგების მართვის კონტროლი, მათ შორის ობიექტის შესასვლელში და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიმდებარე ტერიტორიაზე;
  - რიგში მდგარ მომხმარებლებს შორის დისტანციის დაცვისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენების კონტროლი;
- მომხმარებელთა ქცევაზე ზემოქმედების მიზნით, ფასდაკლებების და აქციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამართვა წახალისდეს ძირითადად დილის საათებში ან/და ონლაინ გაყიდვების სახით;
- საცალო და საბითუმო ვაჭრობის ობიექტებზე აკრძალულია მოსასინჯი ოთახების ფუნქციონირება;
- თანამშრომლები/მომხმარებლები სავაჭრო ობიექტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს კოლექტიური დაცვის საშუალებებით, დამცავი გამჭვირვალე ბარიერები – სალაროებთან და გადახდის სხვა ადგილებზე;
- არ დაუშვან სამუშაო სივრცეში პირი, რომელიც არ არის აღჭურვილი სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- დასაქმებულებს/მომხმარებლებს/მესამე პირებს მიაწოდონ ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული ყველა საკითხისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ (შესაძლებელია აუდიო/ვიდეო სისტემის მეშვეობით);
- განათავსონ ჰიგიენური საშუალებებით დაცვის ღონისძიებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია სათანადო ადგილას, მათ შორის, ხელის დაბანის, ნიღბის მორგების, ტარების და მოცილების წესები;
- უზრუნველყონ სამუშაო სივრცეში ზედაპირების დასუფთავება/დეზინფექცია სათანადო წესით, (დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 3-ჯერ), ასევე მოახდინონ ყველა იმ ზედაპირის დამუშავება (არანაკლებ 2 საათში ერთხელ), რომელთანაც ხშირად შეხება უწევს დასაქმებულს/მომხმარებელს (მათ შორის, კარის სახელურები, საკასო აპარატები, კომპიუტერის კლავიატურა, მაუსი, კალკულატორი და ა.შ.);
- სამუშაო და სავაჭრო სივრცეებში დაიცვან დისტანცია დასაქმებულებსა და მომხმარებლებს შორის (მინიმუმ 2 მეტრი);

- სამუშაო ადგილზე უზრუნველყონ ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;
- ობიექტზე უზრუნველყონ დასაქმებულთა/მომხმარებელთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინონ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

### COVID-19 ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები:

- მიაწოდეთ ინფორმაცია ყველა თანამშრომელს უსაფრთხო მუშაობის პროცედურებისა და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ;
- პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყავით დახურული სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია და სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება (არანაკლებ 3 ჯერ), ხოლო ბუნებრივი ვენტილაციის შეუძლებლობის შემთხვევაში სამუშაო ფართი აღჭურვეთ ხელოვნური ვენტილაციის სისტემით, გარედან შემოსული ჰაერის გაზრდილი კონცენტრაციით;
- ყოველდღიურად ჩაატარეთ დეზინფექციის სამუშაოები სამუშაოს შუალედში და სამუშაოს დასრულების შემდგომ;
- მუშაობის მიმდინარეობისას, სამუშაო დროის განმავლობაში დააწესეთ სანიტარიული შესვენებები;
- შეეცადეთ შეამციროთ ნაღდი ფულის გამოყენება. უპირატესობა მიანიჭეთ ანგარიშსწორების ელექტრონულ საშუალებებს (ბარათით გადახდა, გადარიცხვა);
- თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ხელის ჰიგიენური საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;
- უზრუნველყავით დასაქმებულთა/მომხმარებელთა/მესამე პირთა წვდომა ხელის ჰიგიენურ საშუალებებთან;
- უზრუნველყავით დასაქმებულთა/მომხმარებელთა/მესამე პირთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
- მომხმარებელთა შორის დისტანციის დასაცავად გამოიყენეთ სავალდებულო პირობითი ნიშნები (იატაკზე შესაბამისი სტიკერების/ნახაზების სახით);
- დამსაქმებელი/ობიექტის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს კონტროლი ამ რეკომენდაციების შესრულებაზე.

### დასაქმებულთა ვალდებულებები:

**ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება, ასევე ნიღბის გამოყენება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.**

შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- მისაღმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით უსაფრთხო დისტანციის (არანაკლებ 2 მ) დაცვის რეკომენდაცია;
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი გადააგდეთ ურნაში;

- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება.